ოქმი N5

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2022 წლის 30 ივნისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 28 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ ისაუბრა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და გამარჯვება უსურვა ამ უსამართო ბრძოლაში.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის წევრი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ჩარტია, ი. ზაქარაია, ა. მალანია, კ. გერგაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი განმარტებით ბარათთან ერთად „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ი. ჯიშკარიანი - საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე - გამომსვლელმა ისაუბრა ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დაზიანებულ გზებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ გზები ისე იყო დაზიანებული, გზის ზოგიერთ მონაკვეთზე გადაადგილება იყო შეუძლებელი და თხოვა მერიის შესაბამის სამსახურებს დროულად მოგვარებულიყო არსებული პრობლემა რათა მოსახლეობას შეძლებოდა უსაფრთხო გადაადგილება.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში პირველი იანვრის

მდგომარეობით არსებული ნაშთიდან 1100,0 ათასი ლარი აისახება, მუხლის „არაფინანსური აქტივები“ ასიგნებაზე, მათ შორის: 250,0 ათასი ლარი - ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში სასოფლო გზების ჩიხების რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნებაზე, ხოლო 7,5 ათასი ლარი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე; 850,0 ათასი ლარი - ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის საქირიოს უბანში გზის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნებაზე, ხოლო 5,0 ათასი ლარი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება-გადაანგარიშების ასიგნებაზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ჩარტია, ი. ზაქარაია, ა. მალანია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N8 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის წევრი)

მოისმინეს: გ. ქაჯაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებაში გათვალისწინებულია მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიცია ადამიანური

რესურსების მართვის საკითხებში. ამ პოზიციაზე დასაქმებული პირის საქმიანობა საკმაოდ შრომატევადია, გამომდინარე მისი ფუნქციონალური დატვირთვიდან. მისი საქმიანობა ძირითადად მოიცავს საკადრო საკითხებზე მუშაობას, საკრებულოს აპარატში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსების ორგანიზებას, ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის (ehrms) სრულყოფილ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას და ა.შ. საკრებულოს აპარატის უფროსის წინადადებით სამართლებრივად მიზანშეწონილია ზემო აღნიშნული შტატი გადატანილ იქნას იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილებაში, რანგის ცვლილებით კერძოდ გარდაიქმნა პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობად, რადგან ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში სპეციალისტი მუშაობს სამართლებრივ აქტებზე, როგორიცაა მოხელეთა მივლინებები, შვებულებები. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად ჩაითვალა „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილებას დაემატოს ერთი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა, ხოლო საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 34-ე მუხლისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილების 25-ე მუხლის თანახმად, არსებული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად შიდა კონკურსის დასრულების შემდეგ, ხელახლა შეტანილ იქნეს ცვლილება „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18N დადგენილებაში და გაუქმდეს ამჟამად საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებაში არსებული მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან

რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს აპარატის უფროსს (ლ. შამათავა) განემარტა თუ რატომ ხორციელდებოდა ცვლილება.

ლ. შამათავა - გამომსვლელმა განაცხადა, როგორც აღინიშნა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებაში გათვალისწინებულია მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიცია ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში. ამ პოზიციაზე დასაქმებული პირის საქმიანობა საკმაოდ შრომატევადია, მისი საქმიანობა მოიცავს როგორც საკადრო საკითხებზე მუშაობას, ასევე საკრებულოს აპარატში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსების ორგანიზებას, ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის (ehrms) სრულყოფილ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას და ა.შ. ზემო აღნიშნულ საქმიანობას მაღალი ხარისხით, პასუხისმგებლობით და კეთილსინდისიერად ასრულებს ამ პოზიციაზე დასაქმებული მოხელე გიორგი გერგაია. ის აქტიურად მონაწილეობს ყველა დაგეგმილ აქტივობებში, როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე ქვეყნის მასშტაბით, რის საფუძველზეც არაერთი სიახლე შესთავაზა კოლეგებს. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიმაჩნია განხორციელდეს რანგის ცვლილება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, კერძოდ: პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი დაემატოს იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილებას, გამომდინარე იქედან, რომ ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში სპეციალისტი მუშაობს სამართლებრივ აქტებზე, როგორიცაა მოხელეთა მივლინებები, შვებულებები. საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ" 34-ე მუხლისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილების 25-ე მუხლის თანახმად, არსებული ვაკანტური თანადებობის დასაკავებლად შესაძლებელია გამოცხადდეს დაწესებულების სისტემის მასშტაბით შიდა კონკურსი და მასში მონაწილეობა მიიღოს დაწესებულებაში დასაქმებულმა მოხელემ. აღნიშნული კონკურსის დასრულების შემდეგ, შეტანილ იქნეს ცვლილება „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში და გაუქმდეს ამჟამად საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებაში არსებული მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N9 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის კენჭისყრის დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შემოსულია მოქალაქე ლევან ბუსქანძის განცხადება, 2022 წლის 30 ივლისის საკრებულოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლის თაობაზე და სიტყვით გამოსვლის უფლება მისცა მას

მოისმინეს: ლევან ბუსქანძე - გამომსვლელმა შემოვიდა წინადადებით განხორციელდეს საკრებულოს სხდომების პირდაპირ ფეისბუქ ტრანსლაცია და ასევე განაცხადა, რომ პირველი მაისი ადმინისტრაციული ერთეულის ჯახუთის უბანში გზა წლებია სავალალო მდგომარეობაშია, მაგრამ სტიქიის შედეგად კიდევ უფრო დაზიანდა და გაუვალი გახდა, მისი და მოსახლეობის თხოვნაა აღნიშნულ გზაზე განხორციელდს ბეტონის გზის დაგება, რადგან წვიმის შედეგად ისევ არ მომხდარიყო გზის ჩამორეცხვა. მისი განცხადებით, სანამ კაპიტალური გზა გაკეთდებოდა, სასურველი იყო დროებით გზის მოხრეშვითი სამუშაოები განხორციელებულიყო, რათა მოსახლეობას შეძლებოდა ავტომანქანით გადაადგილება.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა გამომსვლელს, სხდომაზე დასმული საკითხების განხილვის მიზნით წერილობით მოემართა საკრებულოსთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2022 წლის 30 ივნისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ლევანი ლიპარტია
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ბექა მამაცაშვილი
8. აკაკი მალანია
9. ია ჯიშკარიანი
10. მალხაზი იოსავა
11. ბადრი რიჟამაძე
12. მზია ლემონჯარია
13. ჯანსუღი ჯიშკარიანი
14. ფელიქსი წურწუმია
15. ნუგზარ შუშანია
16. ფრიდონი კუკავა
17. ლევანი ლაშხია
18. გივი ლატარია
19. კობა გერგაია
20. აკაკი ხურცილავა
21. ნინო ბოკუცავა
22. ფრიდონ შონია
23. ბექა ხარბედია
24. ვეფხვია ფოცხორაია
25. გურიელ ქარდავა
26. მოგელი ხუხია
27. დიტო ხასია
28. მაკა ჩარტია